სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1880

ქ. თბილისი

18.12.2014

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბიზნესის სკოლის, მეცნიერებათა და ხელოვნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტებზე დოქტორანტურის საფეხუზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების დროის, ადგილისა და საგამოცდო კომისიის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, რექტორის 2014 წლის 13 ნოემბრის N03-1768, N03-1769 და N03-1770 ბრძანებების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2014 წლის 18 დეკემბრის №03-41010/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბიზნესის სკოლის, მეცნიერებათა და ხელოვნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტებზე დოქტორანტურის საფეხუზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში ინგლისური ენის გამოცდა ჩატარდეს 2014 წლის 20 დეკემბერს, 9:00 საათზე, უნივერსიტეტის A405 და A 407 აუდიტორიებში.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული გამოცდის ჩასატარებლად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რეზო მარსაგიშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;
ბ) თამარ ჭანუყვაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი;
გ) ნინო გულიაშვილი - მოწვეული გამომცდელი.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. კანცელარიას დაევალოს, გააცნოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის სკოლას, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და

საინჟინრო ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

რექტორი **გიგა ზედანია**